დადგენილება 24/2024 "სსიპ-თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტზე 2024-2025 სასწავლო წლისათვის სწავლების ყველა საფეხურზე მისაღები ადგილების რაოდენობის დამტკიცების შესახებ" კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 10 ნოემბრის #84/2023 დადგენილებაში, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება" გამოცხადებული ადგილების ნაწილში ცვლილებების შეტანის შესახებ

დადგენილება N 24/2024
თარიღი: 16 ივლისი, 2024 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილის, 57–ე მუხლის და 63–ე მუხლების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ი" და „წ" ქვეპუნქტების, კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 11 ივლისის #5 სხდომის ოქმიდან ამონაწერისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის N11 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N 11),

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება "სსიპ–თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტზე 2024–2025 სასწავლო წლისათვის სწავლების ყველა საფეხურზე მისაღები ადგილების რაოდენობის დამტკიცების შესახებ" კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 10 ნოემბრის #84/2023 დადგენილებაში, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება" გამოცხადებული ადგილების ნაწილში და დამტკიცდეს დანართი 1 თანდართული სახით.

2. დადგენილება გადაეგზავნოს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების და პროგრამის ხელმძღვანელს, სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტს, სასწავლო დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე tsc.edu.ge;
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12

კილომეტრი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

გიორგი ვაჩნაძე

რექტორი,

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე